პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 201
(6010)

1977 წ.
12 ოქტომბერი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

კონსტიტუციის სტრიქონებს მიღმა

დიდი უფლებები, საპატიო მოვალეობანი

ახლა, როცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ეპოქალური დოკუმენტი — ქვეყნის ახალი კონსტიტუცია მთელი საბჭოთა ხალხის, სახალხო მეურნეობისა თუ კულტურული ცხოვრების ყველა დარგის წარმომადგენლების, მათ შორის, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მესვეურთა წინაშე მთელი სიცხადით დგება სერიოზული ამოცანა: ღრმად ჩავწვდეთ ძირითადი კანონის ყოველ მუხლს, ყოველ ნიუანსს, განვსაზღვროთ ჩვენი როლი იმ უფლებათა სრულყოფილ გამოყენებაში, რასაც კონსტიტუცია ანიჭებს საბჭოთა ადამიანებს.

მონიჭებულ უფლებათა სრულყოფილი გამოყენება! — აი, ფიზკულტურული მუშაკების სამოქმედო ასპარეზი, სადაც მათი ენერგიული, პატიოსანი და კეთილსინდისიერი დახმარების ნიადაგზე მშრომელებს მიეცემათ მინიჭებულ უფლებათა მოხმარების მეტი შესაძლებლობა, უფლებებისა, რაც მათივე ცხოვრების გაუმჯობესებასა და გალამაზებას ემსახურება.

„სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისთვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისთვის“, — ვკითხულობთ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში. ამ დიდი ამოცანის გადაჭრა თავისთავად გლობალურ მასშტაბებს იძენს და თითქმის მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ყველა წარმომადგენლის ბეჯით მოღვაწეობას მოითხოვს. ამ საქმის მოგვარებისთვის საჭიროა ქალაქსა თუ სოფელში, ყველა დასახლებულ პუნქტში, სასწავლო თუ სხვა სახის დაწესებულებებთან სათანადო სპორტული ბაზების შექმნა, მასობრივი ფიზკულტურის გადაქცევა მშრომელთა ყოველდღიური ყოფის შემადგენელ ნაწილად, ფიზკულტურული მუშაობის სწორი გზით წარმართვა...

ამ იდეალური მდგომარეობის მიღწევა ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ხალხის, პარტიის მიზანს. პარტიის ახალ პროგრამაში თავის დროზე ხაზგასმით იქნა მითითებული, იმის აუცილებლობა, რომ უახლოეს ხანში ყველა სოფელს ჰქონდეს მარტივი ტიპის სტადიონი მაინც. სკოლას ისე უნდა გარდაექმნა მუშაობა, რომ აღეზარდა სულიერად მდიდარი, მორალურად წმინდა და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნება. ახლა, როცა განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აღნიშნულ ამოცანას, ფიზკულტურულ აქტივს, სპორტის მესვეურებს უფრო მეტად მართებთ მონდომება, მთელი ძალების მობილიზება.

თუ ჩავუკვირდებით კონსტიტუციის 41-ე მუხლს, ჩვენს წინაშე წამოიჭრება ამოცანათა კიდევ ერთი რიგი, რომლის განხორციელებისთვის ბრძოლა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წარმომადგენელთა ღვიძლი საქმეა. ამ მუხლში გამოკვეთილია სამი დიდი ამოცანა, კერძოდ:

1. მასობრივი სპორტის, ფიზკულტურისა და ტურიზმის განვითარება;

2. საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი პირობების შექმნა;

3. თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პირობების შექმნა.

როგორც ვხედავთ, სამივე ამოცანა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ საჭირბოროტო საკითხებთან, რომელთა მაღალ დონეზე გადაწყვეტა ყოველთვის იდგა და დგას დღის წესრიგში.

ამ საზეიმო დღეებში, როცა კონსტიტუციის მიღების გამო ჩვენს ქვეყანაში საერთო ამაღლებული განწყობილება სუფევს, ჩვენ არა გვაქვს უფლება კრიტიკულად არ შევხედოთ ჩვენი მუშაობის ყველა მხარეს და არ ვამხილოთ ის ნაკლოვანებანი, რაც ხელს გვიშლის ამ დიდი ამოცანების გადაჭრაში.

როდესაც ვლაპარაკობთ საცხოვრებელ ადგილებზე დასვენების ხელშემწყობ პირობათა შექმნაზე, დაგვჭირდება იმ მუშაკების გახსენება, რომლებსაც ამ სამუშაოს მოგვარება ევალებოდათ მაგრამ მოგვარების ნაცვლად ისიც გააუქმეს, რაც ადრე არსებობდა. არაერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგალითად, ქ. თბილისში არსებულ ჯანმრთელობის სახალხო კლუბებზე (ისინი მოქმედებდნენ დიღმის, საბურთალოს, 26 კომისრისა და სხვა მასივებში), რომლებიც ადრინდელი უყურადღებობის ჩვეულმა სენმა გაუქმებამდე მიიყვანა. ახლა, სპორტის ვეტერანის ო. დიდებულიძის თაოსნობით აღადგინეს დიღმის მასივის კლუბი „დილა“, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ასეთი კლუბებით აუცილებლად უნდა დაიფაროს ჩვენი საცხოვრებელი მასივები, ცალკეული დასახლებული პუნქტები.

ახალგაზრდების თავისუფალი დროის გეგმაზომიერად გამოყენების შესახებაც ბევრი დაწერილა. ვფიქრობთ, დადგა დრო ლაპარაკიდან მოქმედებაზე გადავიდეთ. ამ შემთხვევაში ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ ჩვენი სპორტის ვეტერანებს, მოქმედ სპორტსმენებს. მათი ყურადღება და პრაქტიკული ზედამხედველობა ცალკეულ ეზოებში მოთამაშე ბავშვთა დიდ ჯგუფებზე — პირდაპირ უპასუხებს კონსტიტუციის მიერ დასახულ ამოცანებს.

სასიამოვნო იყო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე იმის მოსმენა, რომ სახელოვანმა ქართველმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა იკისრა ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან საჭირო მუშაობის ჩატარება. საქართველოს სპორტსმენთა მრავალათასიან არმიაში ასეთი ენთუზიასტები ბევრი უნდა იყოს.

ალბათ, ჩვენი სკოლების მესვეურებს კიდევ ერთხელ დააფიქრებთ კონსტიტუციის 25-ე მუხლი, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური განვითარების ერთიან პროცესზეა ლაპარაკი. ამ დიდი ამოცანის საშვილიშვილო მნიშვნელობა კარგად უნდა ახსოვდეს იმ სასწავლებელთა ხელმძღვანელებს, რომელთა სპორტულ დარბაზებშიც გაკვეთილი ერთდროულად სამ კლასთან ტარდება. იმ საპროექტო ორგანიზაციებს, რომლებიც ახლა, 70-იანი წლების ბოლოს სკოლებს სპორტული დარბაზების გაუთვალისწინებლად აშენებენ, უნდა ახსოვდეთ ფიზიკური აღზრდის იმ პედაგოგებს, რომლებიც სისტემატურად არ იმაღლებენ პედაგოგიურ სპეციალიზაციას და ამით გამოუსწორებელ შეცდომას სჩადიან — ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პროცესს დრომოჭმული მეთოდებითა და საშუალებებით წარმართავენ.

დასკვნა ნათელი და ყველასთვის გასაგებია: ჩვენს ხელთაა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელიც დიდ უფლებებს ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს მოვალეობანიც — ახლავე ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, ახალგაზრდობაზე.

ა. ცეცხლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქდესის ცნობა

„სოიუზ-25“ კოსმოსური ხომალდის ფრენა დამთავრდა

1977 წლის 11 ოქტომბერს „სოიუზ-25“ ხომალდზე სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ვლადიმერ ვასილის ძე კოვალიონოკი და ვალერი ვიქტორის ძე რიუმინი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

6 საათსა და 26 წუთზე მოსკოვის დროით დასაშვები აპარატი, რომელშიც კოსმონავტები იყვნენ, რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქალაქ ცელინოგრადის ჩრდილო-დასავლეთით 185 კილომეტრზე.

ორბიტიდან დაშვების წინ კოსმონავტებმა განახორციელეს ხომალდის ორიენტაცია, შემდეგ ჩართეს სამუხრუჭე ძრავა. ძრავის მუშაობის დამთავრების შემდეგ ხომალდის ნაკვეთურები ერთმანეთს დაშორდა და დასაშვები აპარატი დაშვების ტრაექტორიაზე გადავიდა.

ატმოსფეროში დამუხრუჭების შემდეგ განგარიშებულ სიმაღლეზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა. უშუალოდ დედამიწასთან ამუშავდა რბილი დაჯდომის ძრავები და აპარატი გათვალისწინებულ რაიონში დაეშვა.

დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები ვ. ვ. კოვალიონოკი და ვ. ვ. რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ფეხბურთი

„ავაზას“ წარმატება

რიგა, 11 ოქტომბერი, (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ლატვიის დედაქალაქი 3-დან 10 ოქტომბრამდე მასპინძლობდა „სიჭაბუკის თასზე“ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლების მოსწავლეთა (1961-64 წლებში დაბადებულნი) ნაკრები გუნდები — ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის, აგრეთვე, ქალაქების ლენინგრადის, ერევნის კოლექტივები, თბილისის „ავაზა“ (განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლა).

ტურნირი ჩატარდა წრიული სისტემით, ერთ წრედ.

ჩინებული სტარტი აიღო „ავაზამ“, რომელმაც პირველ მატჩში (ანგარიშით 3:0) დაამარცხა ერევნის გუნდი. მორიგ ტურში თბილისელებმა ასევე „მშრალი“ ანგარიშით (3:0) სძლიეს ლენინგრადელებს, ხოლო შემდეგ თანმიმდევრობით დაამარცხეს ესტონეთის (4:0), მოლდავეთისა (2:0) და ტურნირის მასპინძლების — ლატვიელთა (2:0) კოლექტივები.

ამრიგად, „ავაზამ“ (მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი და ჯ. ჯანელიძე) მოაგროვა ქულათა მაქსიმუმი — 10 და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადის (7 ქულა), ხოლო მესამეზე — ერევნის (5 ქულა) გუნდები.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბომბარდირიც 8 გატანილი გოლით თბილისელი კობა ახალკაცი გახდა.

• • •

აღნიშნული ტურნირის დღეებში ჩატარდა საინტერესო შეხვედრა შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ვეტერან მწვრთნელთა და ადგილობრივ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდებს შორის, აქაც სტუმრებმა იმარჯვეს — 6:2.

ალპინიზმი

კონსტიტუციის სახელობის მწვერვალი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიუძღვნა სპორტსაზოგადოება „სპარტაკმა“ ალპინიადა, რომლის მსვლელობისას დაპყრობილი იქნა კავკასიონზე მდებარე 3600 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი. მწვერვალს **სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სახელი ეწოდა.**

დ. ოგოლაძე,
ალპინიადის ხელმძღვანელი.

ბრინჯაო მიხეილ ხერგიანის კლდეებზე

იალტიდან სევასტოპოლისკენ მიმავალი გზის 72-ე კილომეტრზე აღმართულ 400-მეტრიან კლდეზე, რომელიც „კლდის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის სახელს ატარებს, მეკლდეურთა VII საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა.

შეჯიბრებაში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა, საუკეთესო იყო კრასნოიარსკელთა კოლექტივი (1410,1 ქულა). II ადგილზეა ლენინგრადის (1192,262 ქ.), ხოლო III — საქართველოს გუნდი (1183,213 ქ.).

აღსანიშნავია, რომ ეს შეჯიბრება მეკლდეურობის 30-ე წლისთავს დაემთხვა.

დ. გოზალიშვილი.

მორიგი ტურნირი—მადაგასკარზე

პოლონეთში გამართულ კალათბურთელთა შეჯიბრებიდან (დინამიადა) მოსკოვში დაბრუნდა ამ ტურნირში გამარჯვებული თბილისის „დინამოს“ გუნდი. მორიგ საერთაშორისო ტურნირში (კუნძული მადაგასკარი) გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა კოლექტივის უფროს მწვრთნელს, სპორტის ოსტატ **ლ. მოსეშვილს** და სთხოვა მოეთხრო პოლონეთში ჩატარებული შეხვედრების შესახებ.

წლევანდელ სპორტულ სეზონში დინამოელებს მრავალი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ: იყვნენ სომალში, კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში და ბოლოს პოლონეთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს „დინამოს“ მონათესავე სოციალისტური ქვეყნების კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირში. კრაკოვში გუნდმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და დაუმარცხებლად მოიხვეჭა დინამიადის ჩემპიონის სახელი. ყველაზე დასამახსოვრებელი ტურნირში იყო თბილისელთა შეხვედრა ბუქარესტის „დინამოსთან“. თამაში თავიდანვე არ აეწყო, პირველ ტაიმში მოწინააღმდეგემ 13 ქულითაც გაგვისწრო, მაგრამ კრიტიკულ მომენტში გუნდმა შეძლო ძალების მობილიზება და ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვების მოპოვება — 83:82 (27:40).

ტურნირის შედეგების მიხედვით შედგა სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ მ. ქორქია, ე. იურკევიჩი (პოლონეთი), ა. კოლომეცი (ბულგარეთი), დ. ნიკულესკუ (რუმინეთი) და ა. დერიუგინი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ—თბილისელი კალათბურთელები უტევენ რუმინეთის „დინამოს“ ფარს; გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგას თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე მ. ქორქია.

რალი „მოსკვიჩი-77“

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის ვ. ნ. ვოლკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ IX ტრადიციულ რალიში „მოსკვიჩი-77“ აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენეს სპეციალურად დამზადებული მანქანით მოასპარეზე ძმებმა — ნ. და ი. ბოლშიხებმა. მთელი 700-მეტრიანი ტრასის გავლისას მათ მინიმალური საჯარიმო ქულები დაიმსახურეს.

სტანდარტული ავტომობილების კლასში (სერიული „ჟიგული“ და „მოსკვიჩი“) იმარჯვა ა. გრიგორიევისა და ს. სემიონოვის ეკიპაჟმა.

შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა სულ 64 ეკიპაჟი (მოსკოვი, გორკი, უფა, იჟევსკი, იაროსლავლი). (საქდესის კორ.)

ერთიან ძმურ ოჯახში



7. იმედის თვალით

ლიტვის სსრ

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხსენებაზე უმალ მოგაგონდებათ იქაური კალათბურთელები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ჩვენს მაყურებელს მუდამ ხიბლავდა მათი დახვეწილი ტექნიკა და გამარჯვებისადმი დაუოკებელი ლტოლვა. ლიტველები ამაყობენ თავიანთი მძლეოსნებით, მოჭიდავეებით, მოკრივეებით, ხელბურთელებით, ფრენბურთელებით და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებით. რესპუბლიკაში ფიზკულტურამ და სპორტმა განსაკუთრებული გაქანება ჰპოვა მას შემდეგ, რაც ლიტვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წევრი გახდა. სწორედ აქედან იწყება მისი ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობა, ლიტველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება.

ლიტველი სპორტსმენები ბევრ თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, მარტო მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლის მფლობელი გახდა ლიტვის ორი წარმომადგენელი — კალათბურთელი ა. რუშენე და ხელბურთელი ა. ჩესაიტიტიდე.

ლიტველი ფიზკულტურელები და სპორტსმენები იმედის თვალით შეჰყურებენ მომავალს, იციან რომ კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე მათი რესპუბლიკა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებს ეკონომიკის ყველა დარგში, ახალგაზრდობის ფიზიკური სრულყოფის საქმეში.

• • •

სურათებზე: სამი ოლიმპიადის პრიზიორი ნიჩბოსნობაში ზ. იუშკა და მისი აღზრდილები.

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

ლელობურთი მეტ ყურადღებას იმსახურებს

ჩვენს წინაპართა შორის დიდად პოპულარული თამაში ლელობურთი, რომელსაც საფუძვლები უძველეს წარსულში აქვს, სამწუხაროდ, თანდათან დავიწყებას მიეცა. აღმოსავლეთ საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები მას რატომღაც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. თუ იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში ამ სახეობას ჯერ კიდევ არ შეუწყვეტია არსებობა, ეს ფიზკულტურული ორგანიზაციების, განსაკუთრებით, სოფლის კოლექტივების მონდომებით აიხსნება.

წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ფოთის, ზუგდიდისა და აფხაზეთის კოლექტივებმა იასპარეზეს. აჭარამ ერთი გუნდის გამოყვანაც ვერ შეძლო. სხვა ქალაქებისა და რაიონების კოლექტივებიც არ ჩანდნენ, უწინ კი საქართველოს პირველობაში აჭარისა და ქუთაისის გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ.

შეჯიბრების ორგანიზატორების — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესას კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძალ-ღონე არ დაუშურებიათ ტურნირის მაღალ დონეზე გამართვისთვის, რაშიც რაიონისა და კოლმეურნეობის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებსაც მიუძღვით წვლილი.

რესპუბლიკაში ლელობურთის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ ახალგაზრდებს შორის სპორტის ამ სახეობის დანერგვისთვის ბევრგან არაფერი კეთდება. იშვიათად ეწყობა სამატჩო შეხვედრები, რესპუბლიკური ტურნირები, ლელოს განვითარებისთვის ასე თუ ისე მხოლოდ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო ზრუნავს.

მართალია, აფხაზეთმა ჩემპიონატში გუნდი გამოიყვანა, მაგრამ ამ ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურის მესვეურებს უნდა ვუსაყვედუროთ მოუმზადებელი კოლექტივის გამოგზავნა. სასპარეზოდ ოჩამჩირელი სპორტსმენებით დაკომპლექტებული მთლიანი გუნდი კი ჩამოვიდა, მაგრამ პირველივე შეხვედრის შემდეგ რამდენიმე სპორტსმენი სადღაც გაქრა და გუნდი 11-12 კაცის შემადგენლობით თამაშობდა.

რით აიხსნება უძველესი ქართული თამაშისადმი ჩოხატაურელთა კეთილგანწყობა? ლელო აქ ყველა სოფელშია დანერგილი, ხშირად ეწყობა სასკოლო, სასოფლო და საწარმოო კოლექტივების ამხანაგური შეხვედრები, რაიონული პირველობები. ასეთ შეხვედრებს მაყურებელიც დიდძალი ესწრება.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ლელოს განვითარების მიზნით სერიოზული ნაბიჯი გადადგა, როცა ამას წინათ ლელოსა და რეგბის ერთიანი ფედერაცია შექმნა. სპორტის ამ მონათესავე სახეობათა გაერთიანება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს როგორც ლელოს, ისე რეგბის შემდგომ აღმავლობას რესპუბლიკაში. ლელო რეგბის განვითარების საუკეთესო ნიადაგს ქმნის. თუ დასავლეთ საქართველოში ლელოს მოყვარულთა შორის რეგბის დანერგვით რესპუბლიკაში რეგბის გუნდებს გავამრავლებთ, აღმოსავლეთ საქართველოში ყურადღება უნდა მიექცეს ლელოს გუნდების შექმნას და რესპუბლიკურ პირველობებში რაც შეიძლება მეტი რაიონის, ქალაქის კოლექტივის მონაწილეობას. გუნდებმა მთელი სეზონის მანძილზე უნდა ივარჯიშონ. აუცილებლად უნდა დაიხვეწოს თამაშის წესებიც.

ამ ღონისძიებებს სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტების, სპორტკლუბების ხელმძღვანელებმა მხარი აქტიურად უნდა დაუჭირონ. ლელობურთის ფართოდ დანერგვა მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებასაც დიდად შეუწყობს ხელს.

ა. ზამბახიძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მოედანზე დანთებული ცეცხლი

ჩანახატი

ქარმა წამოუბერა და ნახერხი აამორიალა ქარელის რაიონის ძლევიჯვრის სიჭიდაოზე.

გზაშივე შეამოწმეს ინსტრუმენტები.

— ვნახოთ ერთი, გავიხსენოთ ძველებური... — ტკბილად ეღიმებოდათ მეზურნეებს შოთა ბუზალაძესა და შალვა ავთანდილაშვილს. მალე მედოლე ცაცო ხაბარელიც შეუერთდათ.

და ძლევიჯვრის საჭიდაო მოედანზე ჩაჰბერეს ზურნას. გახურდა დოლიც.

„წაართვეს“ რაიონის სოფლებს ინიციატივა ძლევიჯვრელებმა.

— რატომ ჩვენს სოფელში არ უნდა ჩატარდეს შეჯიბრება, ვისზე ნაკლები მოჭიდავეები გვყავსო! თუ არა გჯერათ, აჰა ბურთი და მოედანი, მოდით და ნახეთო.

დიახ, სჯეროდათ ამ ღონისძიების სულისჩამდგმელებს — ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილეს ანზორ რამიშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს სიმონ ბერუაშვილს, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეს გერისო მელანიშვილს და შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიუძღვნეს.

ფალავნები ოცნებით უმზერენ გარდამავალ საიუბილეო თასს.

მოედანზე ერთმანეთს ერკინებიან ბიჭები.

ტოლი არავის დაუდო ბრეთის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვება იზეიმეს ზ. გოგინაშვილმა (ბრეთის საბჭოთა მეურნეობა), თედეშვილმა (ცერონისი), თ. მელაძემ (ბრეთის საბჭოთა მეურნეობა), ტ. სადუნაშვილმა (ქარელის კოლმეურნეობა), ო. გურასპაშვილმა (რუისი), მ. ხაბარელმა (ბრეთის საბჭოთა მეურნეობა), ს. ფალავანდიშვილმა (ცერონისი).

ახალგაზრდა სპორტსმენის შოთა კალმახელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზი ცერონისელმა სპარტაკ ჯინორიძემ მოიპოვა.

საუკეთესო ტექნიკისთვის დაჯილდოვდნენ მჭედლიშვილი, მსხალაძე, ბერუაშვილი.

ასპარეზობას საუკეთესო ფალავანი უნდა გამოევლინა.

ერთი საათის შემდეგ გამარჯვებული მამუკა ხაბარელი გულშემატკივრების ტაშის გრიალში იღებს პრიზს.

ამ კარგი ღონისძიების ავტორებს არც მუსიკოსები გამორჩენიათ მხედველობიდან. საჩუქრები გადასცეს ასპარეზობის „გამხნევებლებს“.

• • •

ქარი ასისინდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო საჭიდაო სარბიელზე დაყრილ ნახერხს — მოჭიდავეებს საგულდაგულოდ დაეტკეპნათ იგი.

ნ. მარჯანიძე,
რაიონული გაზეთის კორესპონდენტი.
ქარელი.

[illegible]

◆ ხელვაჩაური

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა ხელვაჩაურის რაიონის მოსწავლე გოგონათა პირველობა ხელბურთში. კარგად ისპარეზეს მახოს საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს კახაბრის საშუალო სკოლის სპორტსმენები და 1 ადგილი მოიპოვეს.

ნ. დევაძე.
(ჩვენი კორ.).

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

წყალში ჩაყრილი ათასები

სიღნაღის ცენტრალურ სტადიონზე ვართ. სტადიონს ვამბობთ, თორემ ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ბოლომდე როდი ამართლებს თავის მნიშვნელობას — ფეხბურთის მინდვრის ირგვლივ არც სარბენი ბილიკებია და არც მძლეოსნური სექტორები. არის მხოლოდ ერთი გასახდელი და 700 მაყურებელზე გათვალისწინებული ტრიბუნები. იქაც ბალახი ბიბინებს.

აბიბინებული ბალახის დანახვაზე პირველად ვიფიქრეთ, ფეხბურთს — მთელ დედამიწაზე სპორტის ამ უპოპულარეს სახეობას, ნუთუ სიღნაღში გულშემატკივრები არ ჰყავს მეთქი?

მაგრამ არა, სიღნაღში ძალიან უყვართ ფეხბურთი. იქაური გულშემატკივრები ტელეეკრანებზე მატჩებს მუდამ დიდი ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს. ფეხბურთელთა გუნდიც ჰყავთ, „ცისკარი“, რომელიც საქართველოს პირველობაზე II ჯგუფში თამაშობს.

სტადიონის ტერიტორიაზე ერთი ორსართულიანი შენობაც დგას. პირველ სართულზე ძალოსანთა „დარბაზია“ (ერთობ საოცარია, როგორ აღზარდეს პირველთანრიგოსანი ძალოსნები ამ ერთი ციდა ოთახში?), მეორეზე—სიღნაღის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი. რომ გაიგეს ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. მოსულიშვილმა და „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ო. ბეგაშვილმა ჩვენი ჩასვლის მიზეზი, მეგზურობა ითავეს. ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი გარჯა არ დასჭირებიათ, რადგან დასათვალიერებელი ფაქტიურად არც არაფერი ყოფილა.

რაიონის 21 სკოლიდან ნახევარს საერთოდ არ გააჩნია ფიზკულტურის დარბაზი, ხოლო რაც არის, ისიც არასტანდარტულია. სხვათა შორის, ბოდბისხევის საშუალო სკოლა სამიოდე წელია აშენდა, სპორტდარბაზი კი საერთოდ „დავიწყებიათ“. სიღნაღელი ფიზკულტურის მასწავლებლები კარგ ამინდში ღია ცის ქვეშ რაღაცას კიდევ ახერხებენ, მაგრამ რა ქნან წვიმაში, თოვლსა და ყინვაში?...

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას ფეხბურთის მინდორი და კალათბურთის მოედანი ჰქონია, ხოლო წნორის მექანიკურ ქარხანას — მინი-ფეხბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მარტივი ტიპის მოედნები, კიდევ რამდენიმე კოლმეურნეობას — უბრალო ფეხბურთის მინდორი. ეს არის და ეს. სიღნაღის სპორტსკოლას ერთი დარბაზი აქვს, მაგრამ, რას უნდა მიაღწიონ ძველი ელექტროსადგურის შენობაში თავშეფარებულმა მოსწავლეებმა, რომელთა სპორტული სარბიელის ზომა რაღაც 10×18 მეტრია?!

ახლა წნორის მშენებარე სტადიონს ვეწვიოთ. ამ სტადიონის აგება 12 წლის უკან დაიწყეს. სამწუხაროდ, მშენებლობა თავიდანვე „კუს ნაბიჯით“ წარიმართა და 7-8 წლის შემდეგ საქმე საერთოდ შეწყდა.

რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე? მშენებლობიდან 65 ათასი კუბური მეტრი მიწა გაუტანიათ. 10000 მაყურებლისთვის ტრიბუნების აგებაც დაუწყიათ, უამრავი ტონა ცემენტი, ხრეში, ლითონი დაუხარჯავთ და... ახლა ყველაფერი ფუჭდება. წყალში იყრება დახარჯული 225 ათასი მანეთი.

— გამოსავალს მივაგენით, — გვეუბნება ბ. მოსულიშვილი — მშენებლობის ბედ-იღბალი წნორის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამოსაზრდელ სასუქებელ კომპლექსს გადავეცით. მისი დირექტორი ავთანდილ დონმაზაშვილი გვპირდება, რომ მათი კომპლექსის პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩვენს სტადიონსაც მიხედავენ ეს კი, ალბათ გაისად მოხდება. ავთანდილი სიტყვის კაცია — როდესაც იგი ტიბაანის კოლმეურნეობის თავკაცი გახლდათ, მისი თაოსნობით მოეწყო ფეხბურთის მინდორი, კარგი გუნდიც ჰყავდათ. ამას იმიტომაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენთან არც თუ ხშირად შეხვდებით კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელს, რომელიც ასე ზრუნავდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე...

ახლა რამდენიმე სიტყვა სპორტული ბაზების მშენებლობის უახლოეს პერსპექტივებზე. რაიონში დაიწყება 25-მეტრიანი საცურაო აუზის მშენებლობა. უკვე აქვთ პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. აქვთ პროექტი, აგრეთვე, სპორტული კომპლექსისა, რომელსაც რესპუბლიკის პროფკავშირები ააგებს. ორსართულიან ნაგებობას, კრივის, ძალოსნობის, ჭიდაობისა და სპორტთამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზებით, გაისად ჩაეყრება საფუძველი. აქ გამართულ შეჯიბრებებს 700-მდე მაყურებელი დაესწრება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მშენებლობებს წნორის სტადიონის ბედი არ ეწევა.

ა. გურასაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).
სიღნაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯობნის მჯობი...

ჭადრაკი

დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაია ჩიბურდანიძის გამარჯვებამ პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში. ეს იყო უაღრესად დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა. შეგახსენებთ მის მსვლელობას: 0:1, 1:1, 1,5:1,5, 2,5:1,5, 3:2, 3:3, 3,5:3,5, 4:4, 4:5, 5:5, 6:5, 6,5:5,5. ამ ციფრებში საუცხოოდ ჩანს ორთაბრძოლის დინამიკა.

როგორი შინაგანი ძალა, ხასიათის სიმტკიცე და გამარჯვების რწმენა უნდა ჰქონდეს 16 წლის გოგონას, რომ წარმატებით გადალახოს დაბრკოლებები, რომელთა წინაშე ამ მატჩში სამჯერ მაინც აღმოჩნდა.

თავიდან სიძნელე პირველივე პარტიის შემდეგ „აისვეტა". მაიამ წააგო ეს შეხვედრა, მაგრამ არ დაბნეულა, მეორე პარტიაში ორ დღეს იბრძოლა და მაინც გატეხა მეტოქე თითქმის საყაიმო ენდშპილში.

მეორედ კრიტიკულ სიტუაციაში მაია აღმოჩნდა მეცხრე პარტიის შემდეგ, რომელიც აგრეთვე წააგო. თითქოს ფორტუნამ ზურგი შეაქცია, მაგრამ ფარ-ხმალი როდი დაყარა. საკუთარ ძალაში დაჯერებულმა, თამამად შეიძლება ითქვას, უნაკლოდ წარმართა მეათე პარტია და ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ მომდევნო პარტიაც მოიგო.

მაიას მესამე გამოცდა მოელოდა დასკვნით პარტიაში, რომელშიც ყაიმიც ყოფნიდა. ნურავინ იტყვის, რომ „მეკვეთით" ყაიმის მიღწევა ადვილი იყოს. ეს ალბათ მხოლოდ ტ. პეტროსიანს შეუძლია. მაიას კი ამის გამოცდილება სრულებით არ გააჩნია. სამაგიეროდ, ე. ახმილოვსკაიას აქვს გადამწყვეტი პარტიების თამაშის პრაქტიკა. გაიხსენეთ როგორ შემოაბრუნა მან მატჩი ტ. ლემაჩკოსთან, როცა სწორედ დასკვნითი პარტია მოიგო. ქართველმა გოგონამ ამ გამოცდასაც გაუძლო. კრანსოიარსკელმა დიდოსტატმა ვერ გატეხა იგი, ვერ შეარყია მისი პოზიცია, თუმცა ასამდე სვლა გააკეთა.

მაიას დიდი მოჭადრაკის შესაფერისი წინდახედულება და ერუდიცია აღმოაჩნდა.

რა თქმა უნდა, მატჩის პარტიები სჯა-ბაასის საგანი კიდევ კარგა ხანს იქნება. მაგრამ ახლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პარტიებში საინტერესო იყო თეორიული ჰიდილი. მოჭადრაკეებმა ექვსი სხვადასხვა სადებიუტო სისტემა გამოიყენეს. ზოგში სიახლეც შეიტანეს. ცხადია, მათ თეორიულ პაექრობაში მწვრთნელებიც — დიდოსტატი ე. გუფელდი და მოსკოველი ოსტატი ვ. ლეპიოშკინი მონაწილეობდნენ. არანაკლებ იქცევს ყურადღებას მეტოქეთა თამაში მიტელშპილში. მათ წარმატებით დაძლიეს სტრატეგიისა და ტაქტიკის პრობლემები. (ამ მხრივ აღსანიშნავია მეოთხე და მეექვსე პარტიები). კიდევ უფრო საგულისხმოა მათი თამაში ენდშპილში, რადგან კაპაბლანკას თქმით, მოჭადრაკის ძალა ენდშპილში ჩანს. მაიამ შთამბეჭდავად გაიმარჯვა მეორე პარტიის ენდშპილში, შესანიშნავად დაიცვა თავი მეთორმეტე პარტიაში. ე. ახმილოვსკაიამ შეუპოვრად ითამაშა მეხუთე და, რა თქმა უნდა, მეთორმეტე პარტიების ენდშპილში. ბოლო პარტიაშიც დაუღალავად ეძებდა მოგების გზას.

შეიძლება კიდევ ბევრი რამ ითქვას მატჩის პერიპეტიებზე, მეტოქეთა შემართებაზე, განცდებზე. მაგრამ ნათქვამიც საკმარისია, რომ იგრძნო როგორი ძნელი, დამღლელი და შეუპოვარი ჰიდილი ჰქონდათ მეტოქეებს. ადვილი როდია ბრძოლა უმაღლეს დონეზე, როცა მოჭადრაკის მომავალს თითოეული სვლაც კი წყვეტს. მაიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბოლომდე შეინარჩუნა სულის სიმხნევე და გამარჯვების რწმენა.

გულშემატკივრების სახელით ვულოცავთ მაია ჩიბურდანიძესა და მის მწვრთნელს დიდოსტატ ე. გუფელდს ამ სასახელო გამარჯვებას.

დაე, ფინალშიც გავეხარებინოთ ნორჩ მოჭადრაკე გოგონას!

თ. გიორგაძე.

ტურნირი ზღვისპირას

ამას წინათ პრიმოსკოში (ბულგარეთი) დამთავრდა ვაუთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი საერთაშორისო ოსტატი თამაზ გიორგაძეც მონაწილეობდა. მან 7-7 ქულით II-III ადგილები გაიყო ბულგარეთის ახალგაზრდა ჩემპიონ ინკოვთან ერთად.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში პრიმორკის პრიზიორმა თქვა:

— დიდი ხანი არ არის, რაც შავიზღვისპირა აგარაკ პრიმოსკოს თავკაცები საჭადრაკო ფესტივალს მართავენ. პროგრამაში მუდამ ორი შეჯიბრებაა: დიდოსტატთა და მასობრივი ტურნირები. პირველში (რომელშიც მეც ვმონაწილეობდი) თამაშობდა სამი ბულგარელი დიდოსტატი — პადევსკი, რადულოვი, ტრინგოვი, ამდენივე საერთაშორისო ოსტატი და ექვსი ეროვნული ოსტატი. მეორე შეჯიბრებაში 150 მონაწილე იყო, მათ შორის ოთხი საბჭოთა კავშირიდან.

სტარტზე, II ტურში დავმარცხდი ტრინგოვთან, მაგრამ მომდევნო ოთხ შეხვედრაში 3 ქულა მოვაგროვე და ლიდერთა ჯგუფში შევედი. კარგად მიმყავდა პარტია ინდონეზიელ სურადირაჯასთან, მოგებული პოზიციაც მივიღე, მაგრამ შევცდი და წავაგე. მომდევნო დღეს, პადევსკის რომ დავუზავდი, ზედიზედ მოვუგე ინკოვს, რუმინელ უნგურიანუსა და მანოლოვს, მაგრამ ინდონეზიელს ვეღარ დავეწიე. 8 ქულით მან I ადგილი დაიკავა.

28 წლის სურადირაჯას კარგად იცნობენ ევროპელი მოჭადრაკეები. იგი სამი წელია ცხოვრობს ბელგრადში, სადაც მწვრთნელად ცნობილი იუგოსლაველი თეორეტიკოსი, ოსტატი სოკოლოვი ჰყავს. წლის მანძილზე ინდონეზიელი მოჭადრაკე სულ ცოტა ათ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს და, როგორც ჩანს, კარგადაც დახელოვნდა. ჩვენს ტურნირში მან საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (პირველი ბალი) შეასრულა.

მომეწონა ახალგაზრდა მოჭადრაკეების, 24 წლის კუბელი ვილილასა და 21 წლის ბულგარელი ინკოვის თამაში. ორივემ საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი (პირველი ბალი) შეასრულა.

შეჯიბრებამ, რომელშიც ხუთი ქვეყნის წარგზავნილები იღებდნენ მონაწილეობას, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ძალიან მძიმე რეგლამენტი გვქონდა. საღამოს ტურის პარტიას ვთამაშობდით, დილით კი გადადებულ პარტიებს ვამთავრებდით.

შედეგით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ მეტის მიღწევა შემეძლო.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე ფინალური შეხვედრების წინ

მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სსრ კავშირის IV ჩემპიონატს — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზებზე გამართულ შეჯიბრებას აგერ მეოთხე წელია ტრადიციული წინა სამეტაპიანი ასპარეზობანი უძღვის. იგი კოლექტივებში იწყება, მერე იმართება რაიონული და საქალაქო ტურნირები, რესპუბლიკური ასპარეზობანი. ეს უკანასკნელი გამოავლენს მრავალჭიდელებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებში დაიკავებენ ადგილს და მეოთხე ეტაპზე ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ.

საქართველოს გუნდებმა სოჭში, ბაქოში და ტაშკენტში გამართულ საკავშირო ტურნირებში საერთო ჩათვლაში ვერაფრით გაგვახარეს, თუმცა ზოგიერთი საფეხურის პროგრამით მოასპარეზეთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებსაც ერგოთ საპრიზო ადგილები.

ეს შეჯიბრება, რომელსაც კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და საკავშირო სპორტკომიტეტი ერთობლივად აწყობენ, წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდება და მის ყველა ეტაპზე მილიონობით ადამიანი ცდის ძალას.

საქართველოს მრავალჭიდელებისთვის IV ჩემპიონატი განსაკუთრებულია — 28-31 ოქტომბერს სწორედ თბილისის საუკეთესო ბაზებზე — „დინამოს" სტადიონზე, იპოდრომზე, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დახურულ აუზსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასროლეთზე გაიმართება „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზების მორიგი გათამაშება, რაც მასპინძლებს ორმაგ ამოცანას აკისრებს — იყოს ღირსეული მასპინძელი და სარბიელზე გაცილებით უკეთესი შედეგებისთვის იბრძოლოს.

საქართველოს სპორტკომიტეტმა ჩვენი რესპუბლიკის მრავალჭიდელთა შარშანდელ შედეგებს სათანადო ანალიზი გაუკეთა და დასახა მშდ კომპლექსის განვითარების ღონისძიებანი. მუშაობას რომ უკვალოდ არ ჩაუვლია, ეს ამას წინათ თბილისში გამართულმა რესპუბლიკურმა პირველობამაც დაადასტურა.

თუ შარშან 100-ქულიან ზღვარს რესპუბლიკური ჩემპიონატის ოთხიოდე მონაწილე გასცდა, წლეულს ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა — 22 მრავალჭიდელმა 100 ქულაზე მეტი მოაგროვა, მათგან 16-მა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბა (აღარას ვამბობთ პირველ თანრიგზე).

ქალთა შორის განსაკუთრებით კარგ შედეგს მიაღწია 19 წლის თბილისელმა კ. გუნბამ (127 ქულა), რომელიც IV პირველი საფეხურის პროგრამით გათვალისწინებულ ნორმატივებს აბარებს. იგი წინა ორი საკავშირო პირველობის პრიზიორია და უნდა ვივარაუდოთ, რომ წლეულს მეტს შეძლებს. ახალგაზრდა სპორტსმენმა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში უახლოესი მეტოქეები, თანაგუნდელები ტ. მიასოედოვა და ტ. კორობკინა შესაბამისად 29 და 31 ქულით ჩამოიტოვა.

ამავე საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა საქართველოს ექს-რეკორდსმენმა, 29 წლის ქუთაისელმა მრავალჭიდელმა ჯ. ჩუბინიძემ (79 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ს. მარჩენკო (აჭარა) — 62 და ლ. ბელოუსოვა (რუსთავი) — 54.

რა გვიჩვენა რესპუბლიკურმა ასპარეზობამ?

წინ გადადგმული მოკლე ნაბიჯი

ვაჟთა შორის სტაბილურად იასპარეზა 17 წლის ე. გორგოძემ (135 ქულა) და 26 წლის თ. ჩიტაძემ (127), სამხტომში—საქართველოს ექს-რეკორდსმენმა ვ. ჩხეიძემ (ყველა — თბილისი). ეს უკანასკნელი V საფეხურის პროგრამით ნორმატივების ჩამბარებელ 13 სპორტსმენზე მთელი თავით მაღლა იდგა. მან 124 ქულა მოაგროვა, მეორე პრიზიორმა ა. ნიჟარაძემ (აჭარა) — 70, მესამე პრიზიორმა ს. საპოჟნიკოვმა (რუსთავი) კი — 66.

ყველაფერი ეს შარშანდელთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი სასურველზე „მოკლე" აღმოჩნდა — ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრთა გარდა შედეგების გაზრდისთვის არავინ ზრუნავს.

ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში მშდ კომპლექსის დანერგვის საქმეში ყველაფერი წესრიგში რომ არ არის, ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. მშდ-ს რესპუბლიკური კომისიის, ინსპექციის, რესპუბლიკური კომიტეტის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა — საგრძნობლად შემცირდა „მიწერების" შემთხვევები, მაგრამ მისგან მთლიანად დაზღვეული არც წლეულს აღმოვჩნდით, რაც მრავალჭიდელთა რესპუბლიკურმა ფინალურმა ასპარეზობამ დაადასტურა.

როგორც ცნობილია, ფინალში ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული კოლექტივები გამოდიან. როცა ზონალურ და ფინალურ ტურნირებში ამ კოლექტივების მიერ ნაჩვენებ შედეგებს ვადარებთ, ვრწმუნდებით, რომ ზოგიერთ ზონაში „მიწერები" თვით მსაჯებმა დაუშვეს. ზონებში გამარჯვებულებმა რუსთავის, ზუგდიდის, ტყიბულის, ჭიათურის, ახალციხის, გორისა და სამტრედიის მრავალჭიდელებმა ზონაში თითქმის ორჯერ მეტი ქულები დაიმსახურეს, ვიდრე ფინალში, რომელშიც სულ 12 გუნდი გამოდიოდა.

თუ ოქმებს დავუჯერებთ, სამტრედიელებს შინ 829 ქულა მოუგროვებიათ, თბილისში კი 44 ქულასა (?!) და ბოლო ადგილს დასჯერდნენ, გორელებთან ასეთი სურათია: შესაბამისად 138 და 76, ტყიბულელებთან — 1352 და 636, ზუგდიდელებთან — 933 და 692 და სხვ.

როგორც წესი, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საასპარეზოდ ოქროს სამკერდე ნიშნოსნები დაიშვებიან. ფინალურ ასპარეზობაზე საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს უნდა მოეყარათ თავი. შესაძლოა აქ ყველას ვერ დაემსახურებინა ოქროს სამკერდე ნიშანი, მაგრამ ვერცხლისას რაღა უდგას წინ?

სინამდვილეში საქართველოს ჩემპიონატში ყველა საფეხურის მიხედვით მონაწილე 97 ქალიდან და 160 ვაჟიდან 150-ზე მეტმა მრავალჭიდელმა გუნდებს ვერაფერი არგეს, 1962-63 წლებში დაბადებულ გოგონათა (II საფეხური) შორის კი გამარჯვებულიც ჯერ გამოჩენილა. შეჯიბრების ლიდერმა ლ. ცომაიამ (აფხაზეთი), რომელმაც პირად შეჯიბრებაში 65 ქულას მოუყარა თავი, პნევმატური შაშხანით სროლაში „0" შეფასება მიიღო.

ზოგიერთ სპორტსმენს შესაძლებლობათა გამოვლენაში უდისციპლინობამაც შეუშალა ხელი (დაგვიანებულებს სტარტზე არ უშვებდნენ). I საფეხურის პროგრამით ნორმატივების ჩამბარებელთა შორის გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტი ლ. ბოლქვაძე (აჭარა), რომელმაც 110 ქულა მოაგროვა, ცურვაზე დაგვიანებით გამოცხადდა და ამის გამო ტურნირს გამოეთიშა. ქუთაისელმა ი. გერასიმოვამ, რომელმაც ცურვაში 45 ქულა მოიხვეჭა, 60 მეტრის გარბენას 11,5 წამი მოანდომა და „0" მიიღო. სამტრედიელმა ე. დუნდუამ ამავე დისტანციაზე 11,6 წამი აჩვენა.

მათ არც ზუგდიდელი ს. ივაშჩენკო ჩამორჩა, რომელიც IV პირველ საფეხურის მიხედვით ასპარეზობდა. 25 მრავალჭიდელიდიან ცურვამდე შეჯიბრებას 8 მონაწილე გამოეთიშა, კროსამდე — 10. IV მეორე საფეხურის პროგრამით 9 მონაწილიდან უმეტესობამ ფინიშამდე ვერ მიაღწია.

თბილისმა ბიჭების გუნდში შეიყვანა მ. მაისურაძე, რომელიც ცურვის უცოდინრობის გამო დისტანციიდან მოხსნეს. საინტერესოა, როგორ გახდა იგი ნიშნოსანი? III საფეხურის 46 ნიშნოსანი ჭაბუკიდან 31 ამაოდ გაისარჯა, ცურვამ ასპარეზობიდან 13, ხოლო სროლამ 5 მონაწილე გამოთიშა.

ვფიქრობთ, ეს მაგალითებიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებიც კი გუნდების დაკომპლექტებას ფორმალურად მიუდგნენ.

სიყალბეს, „მიწერებს" ჩვენში ბრძოლას კარგა ხანია გამოუცხადეს. მაგრამ სამწუხაროდ, ბევრს ჭკუა ვერ უსწავლია და მათი დაუდევრობით ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს ზედმეტი ხარჯების გაწევა უხდება. ამ და სხვა ფაქტებზე საქართველოს სპორტკომიტეტი, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი სპეციალურად იმსჯელებენ.

შედგა საქართველოს ნაკრები, რომელიც ენერგიულად ვარჯიშობს საკავშირო სტარტებისთვის. როგორც გუნდის მომზადებაზე პასუხისმგებელმა გ. მძელურმა გვითხრა, ნაკრების ნაყოფიერ მზადებას ხელს უშლიან ლ. ბოლქვაძე (აჭარა), ს. კორმაჩი (გაგრა), ე. კალაშნიკოვა და ც. კამლია (ორივე — სოხუმი) და სხვანი, რომლებიც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე არ გამოცხადდნენ (?!). მოუგვარებელია სპორტსმენთა ცურვაში ვარჯიშის საკითხი. ზოგჯერ ფერხდება სპორტსმენთა საცხოვრებლიდან სავარჯიშოდ გადაყვანა. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ გუნდს ავტობუსი დროულად არ გაუგზავნა, რის გამოც სროლაში ვარჯიში ჩაიშალა...

ო. გელაშვილი.

ტექნიკური შედეგები. ქალები. I საფეხური. ს. კორმაჩი (აფხაზეთი) — 131 ქულა, ი. კოსარიუკი (თბილისი) — 122, კ. ასატრიანი (ახალციხე) — 98; **II საფეხური.** ს. გუნბა — 118, ს. სივორატკინა (ორივე — თბილისი) — 113, ი. კუჭუხიძე (აჭარა) — 110; **V საფეხური.** ვ. მელიხოვა (აჭარა) — 78. **ვაჟები. I საფეხური.** მ. ბალავაძე (მარნეული) — 120, გ. გაფრინდაშვილი (ჭიათურა) — 117, ს. შოშიაშვილი (თბილისი) — 115; **II საფეხური.** პ. სურმავა (გეგეჭკორი) — 96, ვ. გორნევოი (აფხაზეთი) — 90. **III საფეხური.** ე. გორგოძე — 135, ვ. ვარდანაძე (ქუთაისი) — 111, ი. ციბა (აჭარა) — 94; **IV პირველი საფეხური.** თ. ჩიტაძე — 127, ლ. პოლოსიანი — 120, მ. ქათამაძე — 116; **IV მეორე საფეხური.** ვ. გავრინი — 123, ვ. სუხინენსოკი (ყველა — თბილისი) — 112, ა. ალექსეევი (ქუთაისი) — 102.

გუნდური. თბილისი — 1920 ქულა, აჭარა — 1399, აფხაზეთი — 1133, ქუთაისი — 739, ზუგდიდი — 692, ტყიბული — 636, სამხრეთ ოსეთი — 460, რუსთავი — 418, ჭიათურა — 377, ახალციხე — 184, გორი — 76, სამტრედია — 44.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — 500 მეტრზე კროსის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დისტანციაზე; ქვევით — მესამე საფეხურის ნორმატივების ჩამბარებელთა სტარტი ცურვაში.

გ. დოლენჯაშვილისა და კ. სალუქვაძის ფოტოები.

ფეხბურთი '77

სსრ კავშირის პირველობა

მეორე ლიგა

IV ზონა

ამ ლიგის 6 მატჩის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე იტყობინებოდა. გაგაცნობთ 38-ე ტურის დანარჩენ შეხვედრებს: „ზენიტი“ (იჟევსკი) — ფიზკ. ინსტ. (ერევანი) 1:0, „დინამო“ (კიროვი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:1, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 4:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:2, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპ.“ ნლ.	38	22	10	6	56—28	54
„დინ.“ მხ.	38	21	8	9	67—43	50
„გურია“	38	21	7	10	87—53	49
„შირაკი“	38	22	5	11	72—47	49
„ტორპ.“	38	17	8	13	60—44	42
„სოკოლი“	38	17	8	13	65—52	42
„დრ.“ ი.-ო.	38	17	7	14	54—47	41
„ავტომობ.“	38	16	7	15	58—55	39
„დინ.“ ზ.	38	14	11	13	49—48	39
„დინ.“ ბ.	38	15	8	15	48—48	38
„დრ.“ მ.	38	14	10	14	49—51	38
„გასტელო“	38	16	5	17	57—47	37
„ლოკომ.“	38	12	13	13	55—54	37
„დინ.“ კრ.	38	15	6	17	43—43	36
„დინ.“ სხ.	38	12	11	15	42—56	35
„ზენიტი“	38	13	8	17	59—49	34
„ტურბინა“	38	13	7	18	45—48	33
„დილა“	38	12	8	18	52—69	32
ფიზკ. ინს.	38	9	12	17	38—47	30
„პროგ.“	38	11	8	19	36—60	30
„სპ.“ თბ.	38	11	8	19	40—68	30
„არაზი“	38	8	3	27	28—92	19

არგენტინის საგზურისთვის

პოლონელ ფეხბურთელებს ამ დღეებში შეეძლოთ მატჩის უთამაშებლად 1978 წლის არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მიეღოთ, მაგრამ მათმა ძირითადმა მეტოქემ პორტუგალიამ კოპენჰაგენში დაამარცხა დანიელები — 4:2 და თეორიული შანსი შეინარჩუნა პირველ ევროპულ ჯგუფში გამარჯვებისა. ამ მატჩს საბჭოთა არბიტრი ე. აზიმ-ზადე სჯიდა. ახლა ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პოლონეთი	5	5	0	0	16:3	10
პორტუგალია	4	3	0	1	7:5	6
დანია	6	2	0	4	14:12	4
კიპროსი	5	0	0	5	3:20	0

ამ ჯგუფში დარჩენილი შეხვედრებია: პოლონეთი — პორტუგალია (29 ოქტომბერი), პორტუგალია — კიპროსი (16 ნოემბერი). პოლონელ ფეხბურთელებს ფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნით.

დეპეშა [illegible]

შაორტყიბულჰესის და ტყიბულელ ჭადრაკის მოყვარულთა სახელით ბრწყინვალე გამარჯვებას ვულოცავთ მაია ჩიბურდანიძეს. ძლიერ გაგვახარა პაატა შამუგიას ოქროს მედალმაც.

ოთარ კოგახიძე,
ხარატი.

„ფალავანთა კლუბი“ ქართველ ფალავანთა სამჭედლოა. აქ მუდამ დიდი გამოცოცხლებაა. ოსტატობას იმაღლებენ რესპუბლიკის საუკეთესო მოჭიდავეები.

• • •

სურათზე: თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მორიგი ვარჯიში. მეცადინეობას თვალყურს ადევნებენ ცნობილი მწვრთნელები გ. როსტიაშვილი, ვ. არსენიანი და მ. ოსიყმაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ფავორიტთა მღელვარება

სოხუმი, (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ქალთა III საკავშირო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში.

II ტურში მ. მოსიძე სომხეთის წარმომადგენელს ფ. ნავასარდიანს შეხვდა. მაიამ კარგად გაითამაშა დებიუტი, შებოჭა მეტოქე და უკვე 24-ე სვლაზე ერთი შაში მოიგო. შემდგომში ნავასარდიანი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს. თამაშის მეხუთე საათზე ქართველმა მოშაშემ შეძლო მატერიალური უპირატესობის რეალიზაცია და გაიმარჯვა.

ვილნიუსელმა რ. ვიტკაუსკაიტემ ტაქტიკურ გართულებებში აჯობა ა. აგრანოვსკაიას (ხარკოვი) და მეორე მოგება მოიპოვა. უსიამოვნო წუთები განიცადეს ჩემპიონატის ფავორიტებმა: მსოფლიო ჩემპიონმა ე. მიხაილოვსკაიამ (მოსკოვი) მძიმე პოზიცია მიიღო ლენინგრადელ გ. კუზნეცოვასთან. შაშის შეწირვით მოსკოველმა შეავიწროვა მეტოქის პოზიცია და ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია. ქვეყნის ჩემპიონმა ლ. ტრავინამ (ვილნიუსი) თანაქალაქელ ჟ. სოკოლაუსკაიტესთან რთული პოზიციური თამაში გააჩაღა. ტრავინა ცაიტნოტში ჩავარდა. ქვეყნის ჩემპიონმა პარტია გადადო თეორიულად საყაიმო პოზიციაში. ლენინგრადელმა ი. სპასკაიამ შუა თამაშში ყაიმი შესთავაზა დონეცკელ ტ. მეშჩანსკაიას, რომელიც დაუყოვნებლივ დათანხმდა. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, რ. სვირჟევსკა (რიგა) — ა. ახმედოვა (ტაშკენტი), ო. ბელიაევა (მოსკოვი) — ლ. ილინა (მინსკი). გ. მოსკინსკაიამ (გორკი) მოუგო თანაქალაქელ ა. ლაზარენკოს.

III ტურში ყველაზე საინტერესო იყო მოსიძის შეხვედრა გამოცდილ ილინასთან. მინსკელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა უკანასკნელ ხანს. დებიუტის შემდეგ თბილისელმა მოსწავლემ დიდი გართულებები გამოიწვია, რამაც იგი მწვავე ცაიტნოტში ჩააგდო, მაგრამ ამის მიუხედავად მოსიძემ არამცთუ გაიუარესა პოზიცია, არამედ გაიუმჯობესა კიდეც, ორივე მოშაშე ზუსტად თამაშობდა და ექვსსაათიანი თამაშის შემდეგ პა-

შაში

რტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი აღინიშნა მიხაილოვსკაია — ახმედოვას, სოკოლაუსკაიტე — მოსკინსკაიას, სვირჟევსკა — ლაზარენკოს და მეშჩანსკაია — აგრანოვსკაიას შეხვედრებში. ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადნენ ლიტველი მოშაშეები: ვიტკაისკაუტემ მორიგი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტ ბელიაევასთან, ხოლო ტრავინამ — ნავასარდიანთან. პირველი გამარჯვება იზეიმა სპასკაიამ, რომელმაც არც თუ რთული კომბინაციით მოუგო კუზნეცოვას.

IV ტურში ძნელი გამოცდა ელოდა მოსიძეს. ის შეხვდა ვიტკაუსკაიტეს. მაიამ შესანიშნავად ჩაატარა პარტია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უზუსტოდ ითამაშა: გამარჯვებისკენ ორ გზას მიჰყავდა იგი, მაგრამ მან მესამე აირჩია, რამაც მას მხოლოდ ყაიმი მოუტანა. თბილისელმა მოშაშემ შეაჩერა ლიდერის გამარჯვებათა სერია. ამ ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ მიხაილოვსკაია — ლაზარენკო, კუზნეცოვა — ახმედოვა, სოკოლაუსკაიტე — სვირჟევსკა, ტრავინა — ილინა, მეშჩანსკაია — ბელიაევა, აგრანოვსკაია — სპასკაია. მოსკინსკაიამ დაამარცხა ნავასარდიანი.

V ტურში პირველი დამარცხება იწვნია მოსიძემ. მან აქტიურად გაითამაშა პარტიის დასაწყისი და პერსპექტიული პოზიცია მიიღო. შემდეგ თბილისელმა რამდენიმე პასიური სვლა გააკეთა, ცაიტნოტში სწორი გეგმა ვერ მონახა და წააგო მეშჩანსკაიასთან.

მიხაილოვსკაიამ მოუგო სოკოლაუსკაიტეს. ყაიმით დამთავრდა ნავასარდიან — სვირჟევსკას პარტია. ასეთივე შედეგით დამთავრდა კუზნეცოვა — ლაზარენკოს, ახმედოვა — სპასკაიას, ილინა — მოსკინსკაიას, ვიტკაუსკაიტე — ტრავინას პარტიები. ბელიაევამ მოგებულ პოზიციაში დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა აგრანოვსკაიასთან.

5 ტურის შემდეგ ვიტკაუსკაიტეს 4 ქულა აქვს, ტრავინას — 3,5, მიხაილოვსკაიას, ახმედოვას, აგრანოვსკაიას, სვირჟევსკას და სპასკაიას —3-3, მოსიძეს — 2,5.

ა. განტვარგი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

მე-40 ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-40 ტირაჟებისა, რომლებიც 5 ოქტომბერს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი შეღავათიანი ბურთულით ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4530 მანეთია (23 ბარათი), ოთხისთვის — 59 (1780), სამისთვის — 4 (34313).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1849 მანეთია (25 ბარათი), ოთხისთვის — 45 (1106), სამისთვის — 3 (18664).

წყალბურთი

ბაქოში მიმდინარე საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა გუნდების ჩემპიონატში მესამე დღეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წყალბურთელებმა კვლავ გამარჯვება იზეიმეს, ამჯერად, ალმაათის „დინამოსთან“ — 6:4 (2:1, 1:1, 1:1, 2:1). ახლა მეზღვაურებს 46 ქულა აქვთ. ქულით ჩამორჩებიან მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები, რომლებმაც ამ დღეს დაამარცხეს ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდი 8:6 (1:1, 1:1, 3:2, 3:2). ფრედ ითამაშეს კიევის დინამოელებმა ტაშკენტის „მეხნატთან“ — 6:6 (1:0, 2:1, 0:4, 3:1). 11 ოქტომბერს ჩემპიონატში დასვენების დღე იყო.

მოკლე [illegible]

„ოჯახური ჩოგბურთი“

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სათავე დაედო წამოწყებას, რომელმაც, შეიძლება, სხვა ქვეყნებშიც ჰპოვოს გამოხმაურება. „ოჯახური ჩოგბურთი“ — ასე ეწოდა პატარა ქალაქ შტალდორფში ჩატარებულ შეჯიბრებას.

სტარტზე დადგა 55 შეუღლებული წყვილი — „გუნდი“. შეჯიბრების მაყურებლებმა ერთხმად აღნიშნეს მეუღლეთა „ურთიერთდახმარებისა“ და უკეთესი თამაშის დიდი სურვილი. ტურნირს ისეთი დიდი წარმატება ხვდა, რომ შემდეგ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი უკვე 80 „ცოლქმრულმა წყვილმა“ განაცხადა.

მასობრივი კროსი

ხაიფონი. ქალაქ ხოშიმინში ჩატარდა პირველი „განთავისუფლების კროსი“. 5-კილომეტრიან დისტანციაზე ჭაბუკებს შორის დაწინაურდა 21 წლის ხომინ ტამი, გოგონებში კი 2 კილომეტრზე რბენაში ყველას 19 წლის ნგუენ ტხი ფუონ ლოანმა აჯობა. ასპარეზობის შედეგების მიხედვით შეირჩა ქვეყნის XX ჩემპიონატის მონაწილენი.

„სტიაუა“ 30 წლისაა

ბუქარესტი. არმიელთა სპორტკლუბი „სტიაუა“ (ბუქარესტი) 30-ე წლისთავს ზეიმობს. კლუბის არსებობის მანძილზე მისი 7 წევრი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, 13 სპორტსმენმა ვერცხლის, ხოლო 15 — ბრინჯაოს ოლიმპიური ჯილდოები მოიპოვეს. „სტიაუას“ სპორტული „ნადავლი“ ასეთია — მსოფლიო ჩემპიონატის 149 მედალი, ევროპისა — 163.

ბევრი ცნობილი სპორტსმენი მშობლიურ კლუბში მწვრთნელად განაგრძობს მუშაობას. მათ შორის არიან მძლეოსნები ი. სეტერი და ი. ბალაში, კალათბურთელები მ. ნედელი და ა. ფოდორი, ხელბურთელები კ. ოტელია და ო. ტელმანი... (საკდესი).

გოლები და... ცრემლები

პელემ „კოსმოსის“ სტადიონზე ჩატარებული გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ სამშობლოში დაბრუნების „უფლება მიიღო“.

ბრაზილიელ გულშემატკივართა მრავალმილიონიანი არმია ამ მოვლენით ძალზე კმაყოფილია. მათი კერპი, პელე ხომ კვლავ ბრაზილიაში ითამაშებს...

მაგრამ სანამ მაყურებელი მას იხილავს, ნახევარი წელი მაინც გავა. საქმე იმაშია, რომ ფირმა „ვარნერ კომუნიკაციონ ინკი“ პელეს მეშვეობით მთელს მსოფლიოში კომერციულ საკითხებს აგვარებს. პელე იმოგზაურებს, გამართავს შეხვედრებს და გადაწყვეტს რომელი პროდუქცია მიიჩნიოს საუკეთესოდ.

ამ მოვლენას ფეხბურთთან თითქმის არაფერი ექნება საერთო, რადგანაც ფირმა „ვარნერი“ (რომლის მცირე შემადგენელი ნაწილია „ნიუ-იორკ კოსმოსი“) მთელს მსოფლიოში თავისი სატელევიზიო და მხატვრული ფილმებითაა ცნობილი. „ვარნერს“ საკუთარი სატელევიზიო არხი აქვს. ამ ფირმაში შეგიძლიათ ყველაფერი იხილოთ და შეიძინოთ — ფეხბურთელები, გრამფირფიტები, „შოუ“-ს ვარსკვლავები და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით „შავი მარგალიტი“ — პელე.

ბრაზილიელი სასწაულმოქმედი თავდამსხმელისთვის ასეთი რამ სიახლე როდია. ნიუ-იორკს იგი პლასტმასების ფირმის რადიოსადგურის, მაღაზიებისა და მიწების მფლობელად მოევლინა. პელე რეკლამას უკეთებდა ყავას, კოსმეტიკას, ქსოვილებს, ტელევიზორებს... ოცი კაცისგან შემდგარი ბიურო მის საქმეებს განაგებდა.

იყო სპეკულაციაც, მოტყუებაც... დაიწყო კრიზისი, რასაც პელეს ფირმის გაკოტრება მოჰყვა.

დახმარების ხელი პელეს ნიუ-იორკიდან გამოუწოდეს. ამ ქალაქის გუნდ „კოსმოსს“ დახმარება თავად სჭირდებოდა. „კოსმოსი“ დიდი ხანია ეძებდა ისეთ ადამიანს, რომელიც კლუბს საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანდა. მათ სწორედ პელესმაგვარი ფეხბურთელი სჭირდებოდათ. მოხდა გარიგება. პელემ კლუბისგან საკმაოდ დიდი თანხა მიიღო. იგი სამჯერ გამოეთხოვა „დიდ ფეხბურთს“, პირველად 1971 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რამაც ბრაზილიის სამხედრო ტრიბუნალის ბოიკოტი გამოიწვია. სახელგანთქმულ ფეხბურთელს ბრალდებად წაუყენეს „სამშობლოს ღალატი“. თუმცა ორი წლის წინ მე-1000 გატანილი ბურთისთვის პელე უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს.

1974 წელს 34 წლის პელემ უკვე „სანტოსის“ მაისური გაიხადა.

ბოლო გამოსათხოვარ მატჩში „კოსმოსსა“ და „სანტოსს“ შორის (რომელიც პირველის გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა) პელემ კიდევ ერთხელ „შეახსენა“ დამსწრეთ თავი — მან თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით 1278-ე გოლი გაიტანა. შემდეგ სიხარულის ცრემლები, საპატიო წრე, კვლავ ცრემლები...

ამით დამთავრდა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის, ფეხბურთის „მეფედ“ წოდებული პელეს კარიერა. მან 93-ჯერ ითამაშა ბრაზილიის ნაკრებში, მსოფლიოს თითქმის ყველა სტადიონზე, 1958 წლიდან 1970 წლამდე სამჯერ ავიდა მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე. მსოფლიო ჩემპიონის სამი გვირგვინი აქვს მხოლოდ ერთ ფეხბურთელს — პელეს.

დღეიდან იგი კვლავ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოა, დირექტორი თვით ფრაკში.

გერმანულიდან თარგმნა
მ. რადიანმა.

რედაქტორი ა. გასილბია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და ხარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი. ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71; 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02316